საჯარო სამართლის იურიდიული პირი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო

უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის

კულტურის კოორდინატორის საქმიანობის ზოგადი წესი

განხილული და დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოზე:

ოქმი N 5 14.03. **2018** წ.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: /პროფ. მ. ღარიბაშვილი/

თელავი

2018

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის კოორდინატორის საქმიანობის ზოგადი წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.წინამდებარე წესი განსაზღვრავს სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახლობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში ,,უნივერსიტეტი") კულტურის კოორდინატორის უფლებამოსილებებს.

2.კულტურის კოორდინატორი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე წესით.

3. კულტურის კოორდინატორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რექტორთან შეთანხმებით.

მუხლი 2. კულტურის კოორდინატორი უზრუნველყოფს

1. წლიურ სამუშაო გეგმისა და სასწავლო წლის მანძილზე ჩასატარებელი ღონისძიებების კალენდრის შედგენას;
2. საუნივერსიტეტო კულტურული ღონისძიებების პროექტების შედგენას;
3. სტუდენტების და უნივერსიტეტის პერსონალის შემოქმედებით საქმიანობაში ჩართვას, შესძლებლობებისა და სურვილის გათვალიწინებით;
4. სხვადასხვა უნივერსიტეტების კულტურულ და შემოქმედებით ჯგუფებთან თანამშრომლობისა და კონტაქტების დამყარებას;
5. სტუდენტების კულტურულ ღონისძიებებში ჩართულობას, რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა და რელიგიური მრწამსის მიუხედავად;
6. კულტურულ-შემოქმედებითი სახეობების მიხედვით წრეების ხელმძღვანელების მოწვევას;
7. ანგარიშის შედგენას ჩატარებული ღონისძიებების შესახებ;
8. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან თანამშრომლობით, უნივერსიტეტის კულტურულ ცხოვრების პოპულარიზაციას.

მუხლი 3. ცვლილებების შეტანის წესი

1. წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით;
2. წესი ძალაშია დამტკიცებისთანავე;